



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ალთიაფი-ს

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი	3
მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	3
სხვა ინფორმაცია	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	5
ფინანსური შედეგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
შპს „ალთიაფი“ და მისი საქმიანობა.....	10
კომპანიის საოპერაციო გარემო	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.....	10
ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	10
ფუნქციონირებადი საწარმო	10
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	11
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები	11
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	11
ძირითადი საშუალებები.....	11
კომპანია როგორც მოიჯარე	12
ფული და ფულის ეკვივალენტები	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
მარაგები.....	13
გადახდილი ავანსი	13
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
დამატებითი ღირებულების გადასახადი	13
მოგების გადასახადი	13
საწესდებო კაპიტალი	14
საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა	14
ამონაგების აღიარება.....	14
საპროცენტო შემოსავალი.....	14
მიწოდებული მომსახურების ღირებულება.....	15
გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები.....	19
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	19



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ალთიაფი-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ალთიაფი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ანგარიშგების N5 ახსნა განმარტებით შენიშვნაზე სადაც მოცემულია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები ვინაიდან მათი ჯამური ღირებულება და შინაარსი არსებითია საანგარიშო პერიოდში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს შემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.



ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას,
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებ „ულებებზე“ დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნი, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.



დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ ინდივიდუალური თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს აუდიტ +2010 (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-490713)

მარიამ ჭურაძე (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-177802)

17 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო



დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ ინდივიდუალური თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს აუდიტ +2010 (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-490713)

მარიამ ჭურაძე (სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-A-177802)

17 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს ალთიაფი

ფინანსური შედეგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	17,910,002	22,208,636
თვითღირებულების ხარჯები	7	(10,825,936)	(8,380,011)
მთლიანი მოგება		7,084,067	13,828,625
სხვა საოპერაციო შემოსავლები		26,973	49,797
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,976,591)	(841,450)
სხვა შემოსულობები/ზარალი (ნეტო)		(26,665)	1,008
საოპერაციო მოგება		5,107,784	13,037,981
ფინანსური შემოსავლები		42,961	4,527
ფინანსური ხარჯები		(475,780)	(62,812)
მოგება დაბეგვრამდე		4,674,965	12,979,695
მოგების გადასახადის ხარჯი		(512,322)	(408,669)
წმინდა მოგება		4,162,643	12,571,026
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		4,162,643	12,571,026

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - **ჯენე თოქგოზ**

შპს ალთიიფი

ფინანსური შედეგების და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	17,910,002	22,208,636
თვითღირებულების ხარჯები	7	(10,825,936)	(8,380,011)
მთლიანი მოგება		7,084,067	13,828,625
სხვა საოპერაციო შემოსავლები		26,973	49,797
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,976,591)	(841,450)
სხვა შემოსულობები/ზარალი (ნეტო)		(26,665)	1,008
საოპერაციო მოგება		5,107,784	13,037,981
ფინანსური შემოსავლები		42,961	4,527
ფინანსური ხარჯები		(475,780)	(62,812)
მოგება დაბეგვრამდე		4,674,965	12,979,695
მოგების გადასახადის ხარჯი		(512,322)	(408,669)
წმინდა მოგება		4,162,643	12,571,026
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		4,162,643	12,571,026

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

**დირექტორი - ჯენე თოქოზი**

შპს ალთიაფი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	მენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	9	8,202,870	4,040,206
სულ გრძელვადიან აქტივები		8,202,870	4,040,206
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	159,585	1,479,592
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	4,603,086	8,631,432
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები		293,540	783,540
ფული და ფულის ექვივალენტები	12	3,295,995	3,514,886
სულ მიმდინარე აქტივები		8,352,206	14,409,450
სულ აქტივები		16,555,076	18,449,655
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		13,580,502	12,321,017
სულ კაპიტალი		13,580,502	12,321,017
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	1,304,107	4,924,910
სასესხო ვალდებულებები	13	866,021	-
საგადასახადო ვალდებულებები		804,446	1,203,728
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,974,574	6,128,638
სულ ვალდებულებები		2,974,574	6,128,638
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,555,076	18,449,656

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - *კენჯ თოქეოზ*

შპს ალთიაფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	მენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	9	8,202,870	4,040,206
სულ გრძელვადიან აქტივები		8,202,870	4,040,206
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	159,585	1,479,592
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11	4,603,086	8,631,432
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები		293,540	783,540
ფული და ფულის ექვივალენტები	12	3,295,995	3,514,886
სულ მიმდინარე აქტივები		8,352,206	14,409,450
სულ აქტივები		16,555,076	18,449,655
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		13,580,502	12,321,017
სულ კაპიტალი		13,580,502	12,321,017
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	14	1,304,107	4,924,910
სასესხო ვალდებულებები	13	866,021	-
საგადასახადო ვალდებულებები		804,446	1,203,728
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,974,574	6,128,638
სულ ვალდებულებები		2,974,574	6,128,638
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,555,076	18,449,656

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

 **ალთიაფი**
445542805
დამტკიცებულია - **ჯენე თოქოშ**

შპს ალთიაფი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,065,781	2,065,781
წმინდა მოგება	12,571,026	12,571,026
გაუნაწილებელი დივიდენდი	(2,315,789)	(2,315,789)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	12,321,017	12,321,017
წმინდა მოგება	4,162,643	4,162,643
გაუნაწილებელი დივიდენდი	(2,903,158)	(2,903,158)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	13,580,502	13,580,502

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - **ჯენე თოქგოზ**

შპს ალთიიფი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,065,781	2,065,781
წმინდა მოგება	12,571,026	12,571,026
გაუნაწილებელი დივიდენდი	(2,315,789)	(2,315,789)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	12,321,017	12,321,017
წმინდა მოგება	4,162,643	4,162,643
გაუნაწილებელი დივიდენდი	(2,903,158)	(2,903,158)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	13,580,502	13,580,502

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

**დირექტორი - ჯენე თოქგოზ**

შპს ალთიაფი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	4 674 965	12 979 695
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	671 605	447 392
საპროცენტო შემოსავალი	(42 961)	(4 527)
საპროცენტო ხარჯი	471 563	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	4 217	62 812
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	5 779 390	13 485 372
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4 024 385	(8 382 646)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1 320 007	(828 816)
ცვლილებები გადასახადებში	(399 283)	1 275 707
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(3 624 963)	3 608 792
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	7 099 536	9 158 409
გადახდილი მოგების გადასახადი	(512 322)	(408 669)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6 587 214	8 749 740
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების მიღება	(4 834 270)	(2 100 939)
დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავალი	42 961	4 527
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 791 309)	(2 096 412)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების ზრდა	490 000	(783 540)
სესხის მიღება	2 995 157	
სესხის დაფარვა	(2 600 699)	
გადასახდელი დივიდენდები	(2 903 158)	(2 315 789)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2 018 700)	(3 099 329)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	3 904	(43 327)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(218 891)	3 510 671
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3 514 886	4 215
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	3 295 995	3 514 886

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - **ჯენე თოქგოზ**

შპს ალთიაფი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	4 674 965	12 979 695
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	671 605	447 392
საპროცენტო შემოსავალი	(42 961)	(4 527)
საპროცენტო ხარჯი	471 563	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	4 217	62 812
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	5 779 390	13 485 372
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4 024 385	(8 382 646)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1 320 007	(828 816)
ცვლილებები გადასახადებში	(399 283)	1 275 707
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(3 624 963)	3 608 792
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	7 099 536	9 158 409
გადახდილი მოგების გადასახადი	(512 322)	(408 669)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6 587 214	8 749 740
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების მიღება	(4 834 270)	(2 100 939)
დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავალი	42 961	4 527
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4 791 309)	(2 096 412)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრების ზრდა	490 000	(783 540)
სესხის მიღება	2 995 157	
სესხის დაფარვა	(2 600 699)	
გადასახდელი დივიდენდები	(2 903 158)	(2 315 789)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2 018 700)	(3 099 329)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	3 904	(43 327)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(218 891)	3 510 671
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3 514 886	4 215
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	3 295 995	3 514 886

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 17 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:



დირექტორი - ჯენე თოქგოზ

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „ალთიაფი“ და მისი საქმიანობა

კომპანია დაარსდა 2018 წლის 5 ოქტომბერს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ სარეგისტრაციო ნომრით: 445542805. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქალაქი ბათუმი, კობალაძის ქუჩა N5; ბინა N8.

კომპანიის დამფუძნებელი, 100 პროცენტის წილის მფლობელია და ერთპიროვნული დირექტორია :

ჯენქ თოქგოშ 61591003456 /თურქეთი/

ძირითადი საქმიანობა. ძირითადად ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოები, როგორიცაა სანიაღვრე არხების მშენებლობა, წყალშემკრები კოლექტორების, წყალშემკრები აუზების და საცავების მშენებლობა, ზღვაში გადამღვრელი მილების ესტაკადის მოწყობა, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებთან დაკავშირებული გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, სპეციალური მანქანა-დანადგარების და საქაჩი ტიუმბოების მონტაჟი, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციების და ხშირი ცვლილებების საგანია. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ გათვალისწინება გარემოება რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ამ ეფექტს, არსებობის შემთხვევაში, რა გავლენა შეიძლება ქონდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად .

3. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები,

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა და ამორტიზაცია

სხვა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ერთეულების ცვეთა და ამორტიზაცია გაანგარიშება შემცირებად ნაშთის მეთოდის გამოყენებით:

ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთი

- შენობები - 40 წელი
- მანქანა-დანადგარები - 5-10 წლამდე
- ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ შეიცვლება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიის ძირითადი საიჯარო კონტრაქტები მოიცავს სატრანსპორტო და სპეც-ტექნიკის იჯარის კონტრაქტებს რომელსაც იჯარით იღებს შესასრულებელი სამუშაოს შინაარსის და მოცულობის შესაბამისად. იმის გამო რომ იჯარის კონტრაქტის დროს არ ხდება ამ აქტივზე ყველა სარგებელის მიღება მოიჯარის მიერ, ისევე როგორც მას არ გააჩნია კონტროლი ამ აქტივთან დაკავშირებით ეს იჯარა არ არის ფინანსური იჯარა და ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც საოპერაციო იჯარა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიის საკუთრებაშია ასევე შეზღუდული წვდომის ფულადი სახსრები, რომელიც კომპანიას განთავსებული აქვს ტენდერის პირობების შესაბამისად საგარანტიო თანხად სადაზღვეო კომპანიაში და ამ თანხაზე წვდომა შეზღუდული აქვს ტენდერის კონტრაქტის პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსზე უიმედო და გაუფასურებული მოთხოვნებია იდენტიფიცირებული არ არის.

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ბალანსზე არსებული მარაგები მოიცავს სარემონტო და სამშენებლო მომსახურების გასაწევად შეძენილ მარაგებს, რომელის დამოუკიდებლად რეალიზაციაც არ ხორციელდება და ხდება ჩამოწერა გაწეული მომსახურების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიამ შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ვალდებულებები სრულად მოიცავს მომწოდებლის წინაშე წარდგენილ ვალდებულებას.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები

ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციებისათვის კორექტირებები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე ან მათგან საკომპენსაციო თანხის წინასწარ მიღების შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული თანხა იდენტიფიცირებულია როგორც მიღებული ავანსები. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ღივიდნდები

ღივიდნდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და დამტკიცდება. კომპანიის დამტკიცებული ბუღალტრული ანგარიშები არის საფუძველი მოგების განაწილების და სხვა სათანადო მოქმედებების. ქართული კანონმდებლობით მოგების განაწილების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე და წინა წლების წმინდა მოგება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული სახსრებისა.

ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით ფასდაკლებების, ფასდათმობების, უკან დაბრუნებების, დღგ-ს, საექსპორტო მოსაკრებლების და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გარეშე. კომპანია შემოსავალს აღიარებს მომხმარებლისათვის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამის პერიოდში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ბანკებში არსებული ყველა მოთხოვნამდე საბანკო ნაშთისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

მიწოდებული მომსახურების ღირებულება

სამშენებლო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული არსებითი ხარჯები მოიცავს იმ მარაგების თვითღირებულებას, რომლის ხარჯვაც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან. ასევე ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა ხელფასის ანაზღაურება, ტექნიკის ცვეთა, საწვავის ხარჯვა და სხვა.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იმ ხარჯებს რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების მიწოდებასთან მაგრამ კომპანია აწარმოებს სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის.

ყველა ეს ხარჯი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოქვეყნების შემდეგ

გამოქვეყნების შემდეგ ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს კომპანიის მფლობელის დასტურს, რომელმაც მოახდინა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვა.

5. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2024	2023	კავშირის ფორმა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 478 638	6 965 140	სხვაგვარად დაკავშირებული
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	741 585	1 203 576	სხვაგვარად დაკავშირებული

დაკავშირებულ მხარეებთან გაწეული ოპერაციები:	2024	2023	კავშირის ფორმა
მარაგების შეძენა	-	2 159	სხვაგვარად დაკავშირებული
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	38 596	სხვაგვარად დაკავშირებული
მომსახურების შეძენა	124 578	191 003	სხვაგვარად დაკავშირებული
გაწეული მომსახურებები	9 334 783	22 233 797	სხვაგვარად დაკავშირებული

სანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან მნიშვნელოვანი ოპერაციები განხორციელებული არ არის. 2024 წელს მენეჯმენტის ანაზღაურებამ შეადგინა 375,071 ლარი, რომელიც 2023 წელს შეადგენდა 151,101 ლარს.

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

შენიშვნა 6 - შემოსავალი მომსახურებიდან	2024	2023
შემოსავალი მშენებლობიდან	17,167,452	22,184,000
შემოსავალი სხვადასხვა მომსახურებიდან	742,551	24,636
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	17,910,002	22,208,636

შენიშვნა 7 - თვითღირებულების ხარჯები	2024	2023
მასალების დანახარჯები/შეძენა	5,411,597	3,745,951
საწვავის ხარჯები	421,648	697,835
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	3,122,529	2,212,745
ცვეთის ხარჯი	671,605	432,322
ტექნიკის იჯარის ხარჯი	922,080	784,893
სხვა ხარჯები	276,476	506,264
სულ თვითღირებულების ხარჯები	10,825,936	8,380,011

შენიშვნა 8 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სახელფასო ხარჯები	711,509	314,119
საიჯარო ხარჯები	-	108,000
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	-	15,069
სარემონტო ხარჯები	660,432	171,825
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	88,651	-
კომუნიკაციის ხარჯები	62,999	77,556
საგადასახადო ხარჯები	56,048	35,270
პერსონალის ბინადრობის ხარჯები	56,718	-
დაზღვევის ხარჯები	51,598	1,793
ტრანსპორტირების და ლოჯისტიკის ხარჯები	31,654	49,882
სხვა საერთო ხარჯები	256,982	67,936
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,976,591	841,450

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

შენიშვნა 9 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის ადჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება	-	-	55 845	1 050 917	28 562	1 865 817	3 001 141
ცვეთა	-	-	(1 774)	(237 931)	(3 212)	(371 565)	(614 482)
ბალანსი 31/12/2021	-	-	54 071	812 986	25 350	1 494 252	2 386 659
 დანამატები	-	-	32 228	221 371	51 883	1 795 457	2 100 939
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(3 834)	(121 262)	(11 235)	(311 060)	(447 392)
ბალანსი 31/12/2023	-	-	82 464	913 095	65 998	2 978 649	4 040 206
 დანამატები	1 312 992	690 996	91 878	180 641	673 180	2 165 181	5 114 867
აქტივის ჩამოწერა	-	(172 271)	-	(963)	-	(107 363)	(280 597)
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(6 701)	(133 831)	(25 886)	(505 188)	(671 605)
ბალანსი 31/12/2024	1 312 992	518 725	167 642	958 942	713 291	4 531 279	8 202 870
 ბალანსი 31/12/2023	-	-	82 464	913 095	65 998	2 978 649	4 040 206
ბალანსი 31/12/2024	1 312 992	518 725	167 642	958 942	713 291	4 531 279	8 202 870

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

შენიშვნა - 10 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31.12.2024	31.12.2023
სამშენებლო მასალები	138,600	1,430,250
საწვავი	20,984	25,568
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	-	23,774
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	159,585	1,479,592

შენიშვნა - 11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,154,131	8,465,178
გაცემული ავანსები	448,577	119,105
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	379	47,149
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,603,086	8,631,432

შენიშვნა - 12 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3,215,548	2,489,164
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	80,447	1,025,722
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	3,295,995	3,514,886

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასევე ფლობს შეზღუდული წვდომის ფულად სახსრებს, რომელიც განთავსებულია სადაზღვევო კომპანიაში საგარანტიო კონტრაქტის მოთხოვნის შესაბამისად.

შენიშვნა - 13 სასესხო ვალდებულებები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვალიანობა	12/31/2024	12/31/2023
თიბისი ლიზინგი	ლარი	13.0%	2025	38,498	
თიბისი ლიზინგი	დოლარი	7.0%	2025	827,523	
სულ მიმდინარე სესხები				866,021	-

2024

სესხზე დარიცხული პროცენტი	471,563
მიღებული ფულადი სახსრები	2,995,157
გადახდილი პროცენტი	-
გადახდილი ძირი თანხა	(2,600,699)
სულ ნასესხები სახსრები	866,021

შპს ალთიაფი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა - ქართული ლარი

შენიშვნა - 14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	731,417	1,029,973
მიღებული ავანსები	364,368	3,732,749
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	208,323	162,188
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,304,107	4,924,910

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

გადასახადებთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი გარემოებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, არანაირი ვალდებულება დამატებითი გადასახადებისა ან ჯარიმები არ წესდება საგადასახადო ორგანოებისგან მიერ, როდესაც სამი წელია გასული იმ წლის დასრულებიდან, რომელშიც მოხდა ამგვარი დარღვევა.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სადაზღვევო. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოში განვითარებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერ არ არის ფართოდ ხელმისაწვდომი. კომპანიას არ აქვს თავისი ქონების და ბიზნესის შეფერხების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო უზრუნველყოფას, არსებობს რისკი იმისა რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან დაზიანება გამოიწვევს არსებით უარყოფით ეფექტს კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

სასამართლო დავები. ბიზნესის ჩვეულ ოპერაციებში კომპანია მუდმივად განიცდის საფრთხეს სხვადასხვა გარემოებებიდან რომელმაც შესაძლოა წარმოქმნას სასამართლო დავები და ყველა მისი შედეგის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავა რომელმაც შესაძლოა რისკები შეიქმნას.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი გარემოებები რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ალთიავი - ALTYAPI LLC

ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიში

მმართველობითი ანგარიში შეეხება საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, რაც შედეგა შემდეგისგან:

- **კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა და პროექტები**

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ძირითადად ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოები, როგორცაა სანიაღვრე არხების მშენებლობა, წყალშემკრები კოლექტორების, წყალშემკრები აუზების და საცავების მშენებლობა, ზღვაში გადამღვრელი მილების ესტაკადის მოწყობა, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებთან დაკავშირებული გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, სპეციალური მანქანა-დანადგარების და საქაჩი ტიუმბოების მონტაჟი, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

კომპანიის ასევე სხვა დამატებით საქმიანობას წარმოადგენს მძიმე ტექნიკის და სპეცტექნიკის იჯარით გაცემის საქმიანობა.

კომპანია დაარსდა 2018 წლის 5 ოქტომბერს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ სარეგისტრაციო ნომრით: 445542805. კომპანიის იურიდიული მისამართი: ქალაქი ბათუმი, კობალაძის ქუჩა N5; ბინა N8.

კომპანიის მიმდინარე პროექტები:

2022 წლის ბოლოს ქალაქ ფოთში დავიწყეთ საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები, ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტის განხორციელება დასრულებულია.

აღნიშნული პროექტის დამკვეთია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. პროექტის დამფინანსებელია აზიის განვითარების ბანკი. მთავარი შემსრულებელი კონტრაქტორს წარმოადგენს თურქული კომპანია სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეკეთაში“, რომელსაც საქართველოში წარმოადგენს ამ კომპანიის ფილიალი. ხოლო შპს ალთიავი კი ამ კომპანიის ქვეკონტრაქტორია ძირითადი სამუშაოების ნაწილში.

კომპანიამ ასევე დაიწყო და დრული დატვირთვით მიმდინარეობს სამუშაოები ქალაქ ბათუმში, რომელიც ეხება სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობის; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავეიტაციული ხაზის მოწყობის; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობის პროექტის მომზადებას და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. პროექტის დამკვეთია შპს „ბათუმის წყალი“, ხოლო მთავარი კონტრაქტორი და სამუშაოების შემსრულებელი შპს „ალთიავი“.

- **კომპანიის განვითარების გეგმები**

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

შპს ალთიპი-ს მიზანია უპირველესად საქართველოს ბაზარზე იყოს მუდმივად განვითარებადი კომპანია, დანერგოს ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ეფექტიანად და უსაფრთხოდ წარმართვას.

აქედან გამომდინარე კომპანიის მუდმივი განვითარება აისახოს კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურების ხარისხზე, რაც დადებითად აისახება დამკვეთებისა და საერთაშორისო პროექტების დონორების განწყობაზე და დამოკიდებულებაზე კომპანიის მიმართ. აღნიშნული ექვექტი კი საბოლოო ჯამში თავისთავად აისახება კომპანიის შემოსავლების ზრდასა და ძლიერი ფინანსური რესურსის წარმოქმნაში, რაც შესაბამისად დიდ როლს თამაშობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მუდმივად ზრდაში.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად იყენებს ყველა რესურსსა და საშუალებას, დასახული მიზნების მისაღწევად.

კომპანია ცდილობს დაიმკვიდროს მაღალი რეპუტაციული სახელი საქართველოს ბაზარზე და ასევე გაზარდოს და გააძლიეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სამუშაოების მაღალხარისხიანად წარმოებისთვის.

რეპუტაციული განვითარების კუთხით კომპანია მაქსიმალურად ცდილობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები აწარმოოს მკაცრად გაწერილ ვადებში, რაც დადგენილია დამკვეთთან გაფორმებული გეგმა-გრაფიკების თანახმად. ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს და მკაცრ კონტროლს უწევს კომპანიის მიერ სპეციფიკური ინფრასტრუქტურული სამუშაოების მაღალხარისხიანად განხორციელებას. ამისათვის კომპანია უზრუნველყოფს ტექნიკურ პერსონალს ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით, აღჭურვილობითა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებით სამუშაოების განხორციელების ობიექტებში. ამასთან ერთად მაქსიმალურად მაღალ დონეზე აქვს აყვანილი შრომის უსაფრთხოების დაცვა, რაც აშკარად მეტყველებს კომპანიის მენეჯმენტის მიერ კომპანიის რეპუტაციული ხარისხის შენარჩუნებასა და კიდევ უფრო გაუმჯობესებაში.

მენეჯმენტის აზრით რეპუტაციული განვითარება პირველ რიგში კომპანიას წაადგება საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რაც მისცემს საშუალებას კიდევ უფრო მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს როგორც მსხვილი პროექტების განხორციელების გამოცდილების დაგროვებას, ასევე მნიშვნელოვნად გაზარდოს კომპანიის ცნობადობას ჩვენი ქვეყნის ბაზარზე და ამით კომპანიის ბრენდირებას კიდევ უფრო წარმატებულს გახდის. ეს კი სამომავლოდ აუცილებლად წაადგება ქვეყნის გარეთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით კომპანიის წარმოჩინებას და მისი როგორც მაღალკვალიფიციური ინფრასტრუქტურული სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის სახელის დამკვიდრებას.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდას, ამ მხრივ კომპანია პერმანენტულად ახდენს ახალი ტექნიკური საშუალებების შეძენას, როგორიცაა მძიმე და მუხლუხა ტექნიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სხვადასხვა სახის სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები და მანქანა-დანადგარები. ამ მხრივ კომპანია ცდილობს შექმნას ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც მყარ საფუძველს შეუქმნის სხვადასხვა სპეციფიკური სახის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სხვადასხვა საჭირო ტექნიკის იჯარით აყვანის აუცილებლობა და ამით გამოწვეული ტექნიკური ხასიათის რისკების წარმოშობა. ამჟამად კომპანიას საკუთრებაში გააჩნია სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა:

- ასაწყობი საცხოვრებელი კონტეინერები;
- მძიმე მუხლუხა ამწე BAUER MC-64;
- სხვადასხვა ბრენდის მძიმე მუხლუხა და ბორვლიანი ტექნიკა (JCB, SUMITOMO, HYUNDAI, HIDROMEK, NEW HOLLAND, HITACHI, CATERPILLAR და სხვა);

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

- მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები;
- სხვადასხვა სახის სპეციალური აღჭურვილობა და დანადგარები, როგორიცაა არხების გაწმენდი, წყალსაქაჩი ტუმბოები, გენერატორები და მრავალი სხვა სახის მანქანა-დანადგარები;
- სხვადასხვა ინვენტარი, აღჭურვილობა და მარაგები;
- საოფისე ტექნიკა, ავეჯი და სხვა.

- **ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;**

კომპანიას ამ ეტაპზე არ გააჩნია რეგისტრირებული ფილიალები ან წარმომადგენლობები. ჯერ აღნიშნულის საჭიროება არ არის გამოკვეთილი, ვინაიდან კომპანიის მიმდინარე ან დასრულებული პროექტები განხორციელებული იყო გეოგრაფიულად ახლო მდებარე რეგიონებში და ქალაქებში, როგორიცაა ბათუმი, აჭარის რეგიონი, ქალაქი ფოთი. სამომავლო საქმიანობისთვის კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს რეგიონალური წარმომადგენლობის/ფილიალ(ებ)ის გახსნას კომპანიის ზრდასთან და განვითარებასთან შესაბამისად.

- **კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;**

რაც შეეხება კადრებს, კომპანიაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც კომპანიას დაეხმარება განვითარებასა და მაღალი რეპუტაციის ოპერატორ კომპანიად ჩამოყალიბებაში. თუმცაღა მენეჯმენტის აზრით ეს არ არის საკმარისი დასახული მიზნების მისაღწევად და მუდმივად საჭიროა კომპანიის პერსონალის კვალიფიციურ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნვა და მუშაობა. ამისათვის კომპანიას დაგეგმილი აქვს სპეციალური ტრენინგების და თეორიულ-პრაქტიკული კურსების ჩატარება კომპანიაში, რასაც ექნება პერმანენტული ხასიათი.

კომპანიის მენეჯმენტი ასევე გეგმავს, უახლოეს ხანში საწარმოში დანერგოს და აილოს ISO სერთიფიკატი, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციის შიდა სისტემურ და სტრუქტურულ მოწესრიგებას და პერსონალის გადამზადებას. აღნიშნული მომავალში ხელს შეუწყობს კომპანიაში გამართული ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბებას და მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას, კომპანიის საქმიანობაში უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დანერგვას.

- **აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები;**

კომპანიას საქმიანობის არც თუ ისე დიდი პერიოდის განმავლობაში არ ჰქონდა ბევრი პროექტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო ქალაქ ბათუმში მთავარი სანიაღვრე წყალშემკრები კოლექტორის (აუზი), სატუმბი სადგურის, ზღვაში გადამღვრელი მილების ესტაკადის და მთავარი სანიაღვრე არხის მშენებლობას. აღნიშნული პროექტის დამკვეთი იყო ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტი და პროექტის მთავარ დონორს წარმოადგენდა გერმანული განვითარების ბანკი KfW.

შპს ალთიფი წარმოადგენდა აღნიშნული პროექტის მთავარი შემსრულებელი კონტრაქტორი კომპანიის (სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეთაშ“-ი) ქვეკონტრაქტორს და პერიოდულად ახორციელებდა გარკვეული სპეციფიკის სამუშაოებს. ამჟამად აღნიშნული პროექტი დასრულებულია და ოპერირებისათვის გადაეცა შპს „ბათუმის წყალს“. იმ მრავალი სახის და სპეციფიკის სამუშაოებიდან, რომელიც შესრულდა აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შპს „ალთიფი“-ს მიერ შესრულდა წყალშემკრები აუზის დიაფრაგმული სარტყლის ამოღება და შემდეგ მთლიანი აუზის ამოღების სამუშაოები. შემდეგი ძირითადი სამუშაოები იყო ზღვაში გადამღვრელი ესტაკადის

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

მშენებლობა, რაც გულისხმობს წყალქვეშა სამუშაოებს, კერძოდ 1800მმ პოლიეთილენის მილების და დამხმარე ნაკეთობების მონტაჟს, შეერთებას და ფსკერზე დამაგრების სამუშაოებს. აღნიშნული გადამღვრელი მილების ესტაკადა ზღვის ფსკერზე 200 მეტრის სიგრძეზეა გადებული. სამშენებლო სამუშაოებში ჩართული იყო როგორც არარეზიდენტი პირები, ასევე ადგილობრივი დასაქმებული პირები. აღნიშნული პროექტი დასრულდა 2021 წელს. შემდეგი კალენდარული წელი კომპანიას გარკვეული მიზეზების გამო მცირედი შესვენება გამოუვიდა და 2022 წლის ბოლომდე არ მიუღია სამშენებლო კონტრაქტი, თუმცა 2022 წლის ბოლოს კომპანიამ დაიწყო აქტიური სამშენებლო სამუშაოები ქალაქ ფოთში, როგორც ავღნიშნეთ ქალაქის საკანალიზაციო სისტემების სრულ რეაბილიტაცია და მშენებლობა. ამისათვის მას გააჩნია საჭირო სპეცტექნიკა, მ.შ. მძიმე ტექნიკის სახით, როგორც მუხლუხა ექსკავატორები, ასევე სხვა სახის სპეცტექნიკა. ასევე კომპანიამ ლიზინგის წესით შეიძინა რამდენიმე ერთეული ახალი ჯისიბი-ს, ჰიდრომეკის, სუმიტომოს, ნიუ ჰოლანდისა და სხვა მარკის მძიმე ტექნიკა.

როგორც ზემოთ ითქვა, პროექტის დამკვეთია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. პროექტის დამფინანსებელია აზიის განვითარების ბანკი. მთავარი შემსრულებელი კონტრაქტორია თურქული კომპანია სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეთაში“, რომელსაც საქართველოში წარმოადგენს ამ კომპანიის ფილიალი. ხოლო შპს ალთიაფი კი ამ კომპანიის ქვეკონტრაქტორია მთავარი სამუშაოების ნაწილში.

როგორც ავღნიშნეთ, შპს ალთიაფს ბათუმის პროექტისთვის საჭირო სპეცტექნიკა ჰქონდა იჯარის წესით მიღებული სარგებლობაში უცხოური კომპანიისგან, ვინაიდან ნავარაუდევია იყო რომ წინა პროექტის მიმდინარეობა 1 წელზე მეტს არ გასტანდა, თუმცა პროექტის დასრულებას თითქმის სამი წელი დასჭირდა. გარდა ამისა თურქეთში შექმნილმა გარკვეული ტიპის ვითარებამ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდო მომწოდებელი კომპანია, რამაც ფაქტობრივად აიძულა ეს უკანასკნელი რომ დროებით რეჟიმში შემოტანილი სპეცტექნიკა და აღჭურვილობა საბოლოოდ დაეტოვებინა საქართველოში გაყიდვის მიზნით. ჩვენმა კომპანიამ განახორციელა აღნიშნული სპეცტექნიკის შეძენა მომწოდებლისგან კონსიგნაციის პირობით.

აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა იმ აზრის ჩამოყალიბება, რომ კომპანია ჩამოყალიბებულიყო გაცილებით უფრო დიდი და პერსპექტიული გეგმებით სამომავლო საქმიანობისათვის საქართველოში. ამან განაპირობა მენეჯმენტის სრული მზადყოფნა და სურვილი ახალი პროექტების მოძიების თვასაზრისით. ვინაიდან კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოურ კომპანიასთან, გადაწყვეტილება იქნა მიღებული რომ უმეტეს პროექტებში გამოსულიყო მის ქვეკონტრაქტორად, რასაც დღემდე წარმატებით ახორციელებს. თუმცა დასახული მიზანი გაცილებით მეტს გულისხმობს და კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია დღევანდელი მდგომარეობით სავსებით მზად არის გამოვიდეს გენერალურ კონტრაქტორად და შემსრულებლად მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

დღეის მდგომარეობით კომპანიის სამუშაო გამოცდილება მისი საქმიანობის სფეროში შეადგენს საკმაოდ სოლიდურ მაჩვენებელს:

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

პერიოდი	დამკვეთი	პროექტი	სამუშაოების ღირებულება
2021	სს სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ფირმა ეჯეტაში	ქალაქ ბათუმში წყალმომარაგების კოლექტორის, სატუმბო სადგურის, სანიაღვრე არხის, ზღვაში გადამღვრელი ესტაკადის მშენებლობა	1,748,740.84
2021	ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური	ნავსადგურის აკვადუქციის დადრენაჟირების სამუშაოები	61,298.55
	ჯამი		1,810,039.39
2022			-
	ჯამი		-
2023	სს სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ფირმა ეჯეტაში	ქალაქ ფოთის საკანალიზაციო-წყალარინების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	26,177,120.17
2023	შპს ბათუმის წყალი	სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობის; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავიტაციული ხაზის მოწყობის; ბენზეს სატუმბო სადგურის ელექტრორეგულირება და შემოღობვის ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობის პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები	299,837.24
	ჯამი		26,476,957.41
2024	სს სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ფირმა ეჯეტაში	ქალაქ ფოთის საკანალიზაციო-წყალარინების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	10,986,587.48
2024	შპს ბათუმის წყალი	სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობის; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავიტაციული ხაზის მოწყობის; ბენზეს სატუმბო სადგურის ელექტრორეგულირება და შემოღობვის ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობის პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები	9,271,005.39
	ჯამი		20,257,592.87
სულ ჯამი			48,544,589.67

• **წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.**

- რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია კომპანიის წარმატებული მომავლისთვის, რისთვისაც კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურ ძალისხმევას არ იშურებს და ამ კუთხით როგორც ზემოთ ავლნიშნეთ გეგმავს ორგანიზაციული მართვის სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.
- კომპანიის მომხმარებლებს ძირითადად განსაზღვრავენ სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიები, როგორცაა შპს ბათუმის წყალი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ფოთის საზღვაო ნავსადგური, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და სხვა მუნიციპალური ორგანიზაციები. ამ ეტაპზე კომპანია აქტიურად არ ოპერირებს სხვა კერძო ტიპის სუბიექტებთან, გარდა მისი მთავარი კონტრაქტორი კომპანიისა, მაგრამ სამომავლოდ კომპანია არ აპირებს შემოიფარგლოს მხოლოდ სახელმწიფო ტიპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და გეგმავს კერძო სუბიექტებთან თანამშრომლობას მისი საქმიანობის ფარგლებში.
- ბუნებრივი რესურსების კუთხით კომპანია არ წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მომხმარებელ ორგანიზაციას და ამ კუთხით არ ახდენს რაიმე ტიპის გავლენას ან ზემოქმედებას გარემოზე და ბუნებრივი წიაღზე.

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

- დასაქმებულების კუთხით კომპანია ამ დრომდე ახდენდა შტატების დაკომპლექტებას დროებითი სამუშაო ხელშეკრულებების საფუძველზე, ვინაიდან ნაკლებად გააჩნდა ამ დრომდე გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტები და არ ქონდა იმის აუცილებლობა, რომ მუდმივ შტატზე ჰყოლოდა ტექნიკური პერსონალის უმეტესობა. თუმცა კომპანიას შტატში ჰყავს სტაბილური საკადრო პერსონალის ის ოპტიმალური რაოდენობა, რაც აუცილებელია კომპანიის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. აქტიური საქმიანობის ფარგლებში კი კომპანია შეუფერხებლად აკომპლექტებს ორგანიზაციას საჭირო კადრებით და სპეციალისტებით, რომლებიც შედგებიან როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებით, ასევე უცხოელი მოქალაქეებით.
- კვლევა და განვითარების მიზნით კომპანიის მენეჯმენტს დაგეგმილი აქვს გარკვეული სახის აქტივობები, რასაც მიზამინდმართულად განახორცილებს მომავალი საქმიანობის ფარგლებში.
- ინტელექტუალური კაპიტალის კუთხით კომპანია არ საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ ქმედებას, თუ არ ჩავთვლით რა თქმა უნდა იმ აუცილებელ და საჭირო სპეციალისტებს, რომლებიც გააჩნია კომპანიას.
- ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები და სასაქონლო ნიშნები ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს რეგისტრირებული და არ გააჩნია საკუთრებაში. სამომავლოდ ამის საჭიროება მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის.
- რაც შეეხება კომპანიის პოზიციონირებას ბაზარზე, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცნობადობის მაჩვენებელი აშკარად მომატებულია და ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ წინააღმდეგობას ან კონკურენტულ ბარიერებს კომპანია ნაკლებად აწყდება, თუმცა ამის მატების შემთხვევები მენეჯმენტის ვარაუდით უპირობოდ მოიმატებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობაში ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს მენეჯმენტის აზრით წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება/შეწყვეტა ან/და პროექტების სიმცირე მომავალში. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებით, სხვადასხვა კრიზისებით ან პოლიტიკური გავლენებით გამოწვეული პროექტების შეჩერებით/შეწყვეტით და სხვა ასევე ისეთი დამოუკიდებელი ფაქტორებისგან გამოწვეული, რისი დაძლევა და გადალახვა კომპანიის შესაძლებლობებს აღემატება.

გარკვეული რისკ-ფაქტორების წარმოქმნა ასევე არის დამოკიდებული კონკურენტულ ფაქტორებზე, რაც გამოიხატება ფასების არაადეკვატურ კლებაში კონკურენტების მხრიდან ან/და შესაძლო არაკეთილსინდისიერ გარიგებებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით მენეჯმენტის მხრიდან ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი რისკების დაზღვევის კუთხით, რაც გამოიხატება მენეჯმენტის მცდელობაში ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით. აღნიშნული პირველ რიგში მოგვცემს საშუალებას გვეჩვენოს ფასის მეტი დიაპაზონი, რათა ბაზარზე ოპერირება მოვახდინოთ კონკურენტული ფასებით. ასევე ხდებოდეს ფინანსური რესურსების აკუმულირება საჭირო მარაგების და მასალების დროული მობილიზების მხრივ, საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფის მხრივ და ა.შ.

- რისკის ალბათობა რა თქმა უნდა დასაშვებია გარკვეული დოზით, თუმცა იმის თქმა რომ ყველა რისკ-ფაქტორი შეიძლება გაჩნდეს ბუნებაში ან/და აღმოჩნდეს არსებითად გადამწყვეტი, რა თქმა უნდა რთულია;
- ის გარემოებები, რომელშიც რისკი შეიძლება ყველაზე რელევანტური იყოს სუბიექტისათვის, შეიძლება იყოს გამოცხადებული ტენდერები, სადაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომპანიის ბედს საფასო პოლიტიკა და შეთავაზებები, კომპანიის გამოცდილება, რეპუტაცია და ა.შ.

• რისკის შესაძლო ეფექტები შეიძლება გამოხატული იქნეს რა თქმა უნდა პროექტების შემცირებაში, ტენდერებში ნაკლებად გამარჯვების შემთხვევებით და აქედან გამომდინარე კომპანიის ბრუნვებისა და მისაღები შემოსავლების კლებაში, შედეგად იზრდება ხარჯების ტვირთი და მცირდება კომპანიის მოგება, რაც საბოლოო ჯამში კომპანიის ზრდასა და განვითარებას არ უწყობს ხელს.

შპს ალთიაფი-ს დირექტორი



ჯენე თოქგოზ

თარიღი 17.10.2025



ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,
ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39
ტელ: +995 577444362, email: altyapigeorgia@gmail.com

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ალთიაფი - ALTYAPI LLC

ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიში

მმართველობითი ანგარიში შეეხება საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, რაც შედეგა შემდეგისგან:

- **კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა და პროექტები**

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ძირითადად ინფრასტრუქტურული სამშენებლო სამუშაოები, როგორცაა სანიაღვრე არხების მშენებლობა, წყალშემკრები კოლექტორების, წყალშემკრები აუზების და საცავების მშენებლობა, ზღვაში გადამღვრელი მილების ესტაკადის მოწყობა, წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებთან დაკავშირებული გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, სპეციალური მანქანა-დანადგარების და საქაჩი ტიუმბოების მონტაჟი, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-მშენებლობა.

კომპანიის ასევე სხვა დამატებით საქმიანობას წარმოადგენს მძიმე ტექნიკის და სპეცტექნიკის იჯარით გაცემის საქმიანობა.

კომპანია დაარსდა 2018 წლის 5 ოქტომბერს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ სარეგისტრაციო ნომრით: 445542805. კომპანიის იურიდიული მისამართი: ქალაქი ბათუმი, კობალაძის ქუჩა N5; ბინა N8.

კომპანიის მიმდინარე პროექტები:

2022 წლის ბოლოს ქალაქ ფოთში დავიწყეთ საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები, ამ ეტაპზე აღნიშნული პროექტის განხორციელება დასრულებულია.

აღნიშნული პროექტის დამკვეთია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. პროექტის დამფინანსებელია აზიის განვითარების ბანკი. მთავარი შემსრულებელი კონტრაქტორს წარმოადგენს თურქული კომპანია სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეკეთაში“, რომელსაც საქართველოში წარმოადგენს ამ კომპანიის ფილიალი. ხოლო შპს ალთიაფი კი ამ კომპანიის ქვეკონტრაქტორია ძირითადი სამუშაოების ნაწილში.

კომპანიამ ასევე დაიწყო და დრული დატვირთვით მიმდინარეობს სამუშაოები ქალაქ ბათუმში, რომელიც ეხება სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობის; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავეიტაციული ხაზის მოწყობის; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობის პროექტის მომზადებას და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. პროექტის დამკვეთია შპს „ბათუმის წყალი“, ხოლო მთავარი კონტრაქტორი და სამუშაოების შემსრულებელი შპს „ალთიაფი“.

- **კომპანიის განვითარების გეგმები**

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

შპს ალთიპი-ს მიზანია უპირველესად საქართველოს ბაზარზე იყოს მუდმივად განვითარებადი კომპანია, დანერგოს ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ეფექტიანად და უსაფრთხოდ წარმართვას.

აქედან გამომდინარე კომპანიის მუდმივი განვითარება აისახოს კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურების ხარისხზე, რაც დადებითად აისახება დამკვეთებისა და საერთაშორისო პროექტების დონორების განწყობაზე და დამოკიდებულებაზე კომპანიის მიმართ. აღნიშნული ექვექტი კი საბოლოო ჯამში თავისთავად აისახება კომპანიის შემოსავლების ზრდასა და ძლიერი ფინანსური რესურსის წარმოქმნაში, რაც შესაბამისად დიდ როლს თამაშობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მუდმივად ზრდაში.

კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად იყენებს ყველა რესურსსა და საშუალებას, დასახული მიზნების მისაღწევად.

კომპანია ცდილობს დაიმკვიდროს მაღალი რეპუტაციული სახელი საქართველოს ბაზარზე და ასევე გაზარდოს და გააძლიეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სამუშაოების მაღალხარისხიანად წარმოებისთვის.

რეპუტაციული განვითარების კუთხით კომპანია მაქსიმალურად ცდილობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები აწარმოოს მკაცრად გაწერილ ვადებში, რაც დადგენილია დამკვეთთან გაფორმებული გეგმა-გრაფიკების თანახმად. ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს და მკაცრ კონტროლს უწევს კომპანიის მიერ სპეციფიკური ინფრასტრუქტურული სამუშაოების მაღალხარისხიანად განხორციელებას. ამისათვის კომპანია უზრუნველყოფს ტექნიკურ პერსონალს ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით, აღჭურვილობითა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებით სამუშაოების განხორციელების ობიექტებში. ამასთან ერთად მაქსიმალურად მაღალ დონეზე აქვს აყვანილი შრომის უსაფრთხოების დაცვა, რაც აშკარად მეტყველებს კომპანიის მენეჯმენტის მიერ კომპანიის რეპუტაციული ხარისხის შენარჩუნებასა და კიდევ უფრო გაუმჯობესებაში.

მენეჯმენტის აზრით რეპუტაციული განვითარება პირველ რიგში კომპანიას წაადგება საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, რაც მისცემს საშუალებას კიდევ უფრო მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მიიღოს მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს როგორც მსხვილი პროექტების განხორციელების გამოცდილების დაგროვებას, ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის კომპანიის ცნობადობას ჩვენი ქვეყნის ბაზარზე და ამით კომპანიის ბრენდირებას კიდევ უფრო წარმატებულს გახდის. ეს კი სამომავლოდ აუცილებლად წაადგება ქვეყნის გარეთ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით კომპანიის წარმოჩინებას და მისი როგორც მაღალკვალიფიციური ინფრასტრუქტურული სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის სახელის დამკვიდრებას.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდას, ამ მხრივ კომპანია პერმანენტულად ახდენს ახალი ტექნიკური საშუალებების შეძენას, როგორიცაა მძიმე და მუხლუხა ტექნიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სხვადასხვა სახის სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები და მანქანა-დანადგარები. ამ მხრივ კომპანია ცდილობს შექმნას ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც მყარ საფუძველს შეუქმნის სხვადასხვა სპეციფიკური სახის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სხვადასხვა საჭირო ტექნიკის იჯარით აყვანის აუცილებლობა და ამით გამოწვეული ტექნიკური ხასიათის რისკების წარმოშობა. ამჟამად კომპანიას საკუთრებაში გააჩნია სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა:

- ასაწყობი საცხოვრებელი კონტეინერები;
- მძიმე მუხლუხა ამწე BAUER MC-64;
- სხვადასხვა ბრენდის მძიმე მუხლუხა და ბორვლიანი ტექნიკა (JCB, SUMITOMO, HYUNDAI, HIDROMEK, NEW HOLLAND, HITACHI, CATERPILLAR და სხვა);

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

- მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები;
- სხვადასხვა სახის სპეციალური აღჭურვილობა და დანადგარები, როგორიცაა არხების გაწმენდი, წყალსაქაჩი ტუმბოები, გენერატორები და მრავალი სხვა სახის მანქანა-დანადგარები;
- სხვადასხვა ინვენტარი, აღჭურვილობა და მარაგები;
- საოფისე ტექნიკა, ავეჯი და სხვა.

- **ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;**

კომპანიას ამ ეტაპზე არ გააჩნია რეგისტრირებული ფილიალები ან წარმომადგენლობები. ჯერ აღნიშნულის საჭიროება არ არის გამოკვეთილი, ვინაიდან კომპანიის მიმდინარე ან დასრულებული პროექტები განხორციელებული იყო გეოგრაფიულად ახლო მდებარე რეგიონებში და ქალაქებში, როგორიცაა ბათუმი, აჭარის რეგიონი, ქალაქი ფოთი. სამომავლო საქმიანობისთვის კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს რეგიონალური წარმომადგენლობის/ფილიალ(ებ)ის გახსნას კომპანიის ზრდასთან და განვითარებასთან შესაბამისად.

- **კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;**

რაც შეეხება კადრებს, კომპანიაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც კომპანიას დაეხმარება განვითარებასა და მაღალი რეპუტაციის ოპერატორ კომპანიად ჩამოყალიბებაში. თუმცა მენეჯმენტის აზრით ეს არ არის საკმარისი დასახული მიზნების მისაღწევად და მუდმივად საჭიროა კომპანიის პერსონალის კვალიფიციურ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნვა და მუშაობა. ამისათვის კომპანიას დაგეგმილი აქვს სპეციალური ტრენინგების და თეორიულ-პრაქტიკული კურსების ჩატარება კომპანიაში, რასაც ექნება პერმანენტული ხასიათი.

კომპანიის მენეჯმენტი ასევე გეგმავს, უახლოეს ხანში საწარმოში დანერგოს და აიღოს ISO სერთიფიკატი, რომელიც განაპირობებს ორგანიზაციის შიდა სისტემურ და სტრუქტურულ მოწესრიგებას და პერსონალის გადამზადებას. აღნიშნული მომავალში ხელს შეუწყობს კომპანიაში გამართული ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბებას და მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას, კომპანიის საქმიანობაში უმაღლესი ხარისხის სტანდარტების დანერგვას.

- **აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები;**

კომპანიას საქმიანობის არც თუ ისე დიდი პერიოდის განმავლობაში არ ჰქონდა ბევრი პროექტი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო ქალაქ ბათუმში მთავარი სანიაღვრე წყალშემკრები კოლექტორის (აუზი), სატუმბი სადგურის, ზღვაში გადამღვრელი მილების ესტაკადის და მთავარი სანიაღვრე არხის მშენებლობას. აღნიშნული პროექტის დამკვეთი იყო ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტი და პროექტის მთავარ დონორს წარმოადგენდა გერმანული განვითარების ბანკი KfW.

შპს ალთიფი წარმოადგენდა აღნიშნული პროექტის მთავარი შემსრულებელი კონტრაქტორი კომპანიის (სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეთაშ“-ი) ქვეკონტრაქტორს და პერიოდულად ახორციელებდა გარკვეული სპეციფიკის სამუშაოებს. ამჟამად აღნიშნული პროექტი დასრულებულია და ოპერირებისათვის გადაეცა შპს „ბათუმის წყალს“. იმ მრავალი სახის და სპეციფიკის სამუშაოებიდან, რომელიც შესრულდა აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შპს „ალთიფი“-ს მიერ შესრულდა წყალშემკრები აუზის დიაფრაგმული სარტყლის ამოღება და შემდეგ მთლიანი აუზის ამოღების სამუშაოები. შემდეგი ძირითადი სამუშაოები იყო ზღვაში გადამღვრელი ესტაკადის

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

მშენებლობა, რაც გულისხმობს წყალქვეშა სამუშაოებს, კერძოდ 1800მმ პოლიეთილენის მილების და დამხმარე ნაკეთობების მონტაჟს, შეერთებას და ფსკერზე დამაგრების სამუშაოებს. აღნიშნული გადამღვრელი მილების ესტაკადა ზღვის ფსკერზე 200 მეტრის სიგრძეზეა გადებული. სამშენებლო სამუშაოებში ჩართული იყო როგორც არარეზიდენტი პირები, ასევე ადგილობრივი დასაქმებული პირები. აღნიშნული პროექტი დასრულდა 2021 წელს. შემდეგი კალენდარული წელი კომპანიას გარკვეული მიზეზების გამო მცირედი შესვენება გამოუვიდა და 2022 წლის ბოლომდე არ მიუღია სამშენებლო კონტრაქტი, თუმცა 2022 წლის ბოლოს კომპანიამ დაიწყო აქტიური სამშენებლო სამუშაოები ქალაქ ფოთში, როგორც ავღნიშნეთ ქალაქის საკანალიზაციო სისტემების სრულ რეაბილიტაცია და მშენებლობა. ამისათვის მას გააჩნია საჭირო სპეცტექნიკა, მ.შ. მძიმე ტექნიკის სახით, როგორც მუხლუხა ექსკავატორები, ასევე სხვა სახის სპეცტექნიკა. ასევე კომპანიამ ლიზინგის წესით შეიძინა რამდენიმე ერთეული ახალი ჯისიბი-ს, ჰიდრომეკის, სუმიტომოს, ნიუ ჰოლანდისა და სხვა მარკის მძიმე ტექნიკა.

როგორც ზემოთ ითქვა, პროექტის დამკვეთია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. პროექტის დამფინანსებელია აზიის განვითარების ბანკი. მთავარი შემსრულებელი კონტრაქტორია თურქული კომპანია სს სამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო ფირმა „ეჯეთაში“, რომელსაც საქართველოში წარმოადგენს ამ კომპანიის ფილიალი. ხოლო შპს ალთიაფი კი ამ კომპანიის ქვეკონტრაქტორია მთავარი სამუშაოების ნაწილში.

როგორც ავღნიშნეთ, შპს ალთიაფს ბათუმის პროექტისთვის საჭირო სპეცტექნიკა ჰქონდა იჯარის წესით მიღებული სარგებლობაში უცხოური კომპანიისგან, ვინაიდან ნავარაუდევია იყო რომ წინა პროექტის მიმდინარეობა 1 წელზე მეტს არ გასტანდა, თუმცა პროექტის დასრულებას თითქმის სამი წელი დასჭირდა. გარდა ამისა თურქეთში შექმნილმა გარკვეული ტიპის ვითარებამ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდო მომწოდებელი კომპანია, რამაც ფაქტობრივად აიძულა ეს უკანასკნელი რომ დროებით რეჟიმში შემოტანილი სპეცტექნიკა და აღჭურვილობა საბოლოოდ დაეტოვებინა საქართველოში გაყიდვის მიზნით. ჩვენმა კომპანიამ განახორციელა აღნიშნული სპეცტექნიკის შეძენა მომწოდებლისგან კონსიგნაციის პირობით.

აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა იმ აზრის ჩამოყალიბება, რომ კომპანია ჩამოყალიბებულიყო გაცილებით უფრო დიდი და პერსპექტიული გეგმებით სამომავლო საქმიანობისათვის საქართველოში. ამან განაპირობა მენეჯმენტის სრული მზადყოფნა და სურვილი ახალი პროექტების მოძიების თვასაზრისით. ვინაიდან კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს უცხოურ კომპანიასთან, გადაწყვეტილება იქნა მიღებული რომ უმეტეს პროექტებში გამოსულიყო მის ქვეკონტრაქტორად, რასაც დღემდე წარმატებით ახორციელებს. თუმცა დასახული მიზანი გაცილებით მეტს გულისხმობს და კომპანიის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია დღევანდელი მდგომარეობით სავსებით მზად არის გამოვიდეს გენერალურ კონტრაქტორად და შემსრულებლად მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

დღეის მდგომარეობით კომპანიის სამუშაო გამოცდილება მისი საქმიანობის სფეროში შეადგენს საკმაოდ სოლიდურ მაჩვენებელს:

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

პერიოდი	დამკვეთი	პროექტი	სამუშაოების ღირებულება
2021	სს სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ფირმა ეჯეთაში	ქალაქ ბათუმში წყალმომარაგების კოლექტორის, სატუმბო სადგურის, სანიაღვრე არხის, ზღვაში გადამღვრელი ესტაკადის მშენებლობა	1,748,740.84
2021	ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური	ნავსადგურის აკვანაღვრის დაღრმავებითი სამუშაოები	61,298.55
	ჯამი		1,810,039.39
2022			-
	ჯამი		-
2023	სს სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ფირმა ეჯეთაში	ქალაქ ფოთის საკანალიზაციო-წყალარინების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	26,177,120.17
2023	შპს ბათუმის წყალი	სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობის; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავეიტაციული ხაზის მოწყობის; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობის პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები	299,837.24
	ჯამი		26,476,957.41
2024	სს სამშენებლო, სამრეწველო და სავაჭრო ფირმა ეჯეთაში	ქალაქ ფოთის საკანალიზაციო-წყალარინების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	10,986,587.48
2024	შპს ბათუმის წყალი	სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობის; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადამქაჩი სადგურების და გრავეიტაციული ხაზის მოწყობის; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/მშენებლობის პროექტის მომზადება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები	9,271,005.39
	ჯამი		20,257,592.87
	სულ ჯამი		48,544,589.67

• **წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.**

- რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია კომპანიის წარმატებული მომავლისთვის, რისთვისაც კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურ ძალისხმევას არ იშურებს და ამ კუთხით როგორც ზემოთ ავღნიშნეთ გეგმავს ორგანიზაციული მართვის სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.
- კომპანიის მომხმარებლებს ძირითადად განსაზღვრავენ სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიები, როგორიცაა შპს ბათუმის წყალი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ფოთის საზღვაო ნავსადგური, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და სხვა მუნიციპალური ორგანიზაციები. ამ ეტაპზე კომპანია აქტიურად არ ოპერირებს სხვა კერძო ტიპის სუბიექტებთან, გარდა მისი მთავარი კონტრაქტორი კომპანიისა, მაგრამ სამომავლოდ კომპანია არ აპირებს შემოიფარგლოს მხოლოდ სახელმწიფო ტიპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და გეგმავს კერძო სუბიექტებთან თანამშრომლობას მისი საქმიანობის ფარგლებში.
- ბუნებრივი რესურსების კუთხით კომპანია არ წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მომხმარებელ ორგანიზაციას და ამ კუთხით არ ახდენს რაიმე ტიპის გავლენას ან ზემოქმედებას გარემოზე და ბუნებრივი წიაღზე.

ს/კ 445542805, საქართველო, ქალაქი ბათუმი, იურ.მისამართი: ქუჩა კობალაძე, N 5, ბინა N8,

ფაქტ.მისამართი: ალ. პუშკინის ქ.39

ტელ: +995 577444362, email: altypigeorgia@gmail.com

- დასაქმებულების კუთხით კომპანია ამ დრომდე ახდენდა შტატების დაკომპლექტებას დროებითი სამუშაო ხელშეკრულებების საფუძველზე, ვინაიდან ნაკლებად გააჩნდა ამ დრომდე გრძელვადიანი სამშენებლო კონტრაქტები და არ ქონდა იმის აუცილებლობა, რომ მუდმივ შტატზე ჰყოლოდა ტექნიკური პერსონალის უმეტესობა. თუმცა კომპანიას შტატში ჰყავს სტაბილური საკადრო პერსონალის ის ოპტიმალური რაოდენობა, რაც აუცილებელია კომპანიის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. აქტიური საქმიანობის ფარგლებში კი კომპანია შეუფერხებლად აკომპლექტებს ორგანიზაციას საჭირო კადრებით და სპეციალისტებით, რომლებიც შედგებიან როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებით, ასევე უცხოელი მოქალაქეებით.
- კვლევა და განვითარების მიზნით კომპანიის მენეჯმენტს დაგეგმილი აქვს გარკვეული სახის აქტივობები, რასაც მიზამინდმართულად განახორცილებს მომავალი საქმიანობის ფარგლებში.
- ინტელექტუალური კაპიტალის კუთხით კომპანია არ საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ ქმედებას, თუ არ ჩავთვლით რა თქმა უნდა იმ აუცილებელ და საჭირო სპეციალისტებს, რომლებიც გააჩნია კომპანიას.
- ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები და სასაქონლო ნიშნები ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს რეგისტრირებული და არ გააჩნია საკუთრებაში. სამომავლოდ ამის საჭიროება მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის.
- რაც შეეხება კომპანიის პოზიციონირებას ბაზარზე, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცნობადობის მაჩვენებელი აშკარად მომატებულია და ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ წინააღმდეგობას ან კონკურენტულ ბარიერებს კომპანია ნაკლებად აწყდება, თუმცა ამის მატების შემთხვევები მენეჯმენტის ვარაუდით უპირობოდ მოიმატებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის საქმიანობაში ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს მენეჯმენტის აზრით წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება/შეწყვეტა ან/და პროექტების სიმცირე მომავალში. ეს შეიძლება იყოს გამოწვეული ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებით, სხვადასხვა კრიზისებით ან პოლიტიკური გავლენებით გამოწვეული პროექტების შეჩერებით/შეწყვეტით და სხვა ასევე ისეთი დამოუკიდებელი ფაქტორებისგან გამოწვეული, რისი დაძლევა და გადალახვა კომპანიის შესაძლებლობებს აღემატება.

გარკვეული რისკ-ფაქტორების წარმოქმნა ასევე არის დამოკიდებული კონკურენტულ ფაქტორებზე, რაც გამოიხატება ფასების არაადეკვატურ კლებაში კონკურენტების მხრიდან ან/და შესაძლო არაკეთილსინდისიერ გარიგებებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით მენეჯმენტის მხრიდან ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი რისკების დაზღვევის კუთხით, რაც გამოიხატება მენეჯმენტის მცდელობაში ხარჯების ოპტიმიზაციის კუთხით. აღნიშნული პირველ რიგში მოგვცემს საშუალებას გვეჩვენოს ფასის მეტი დიაპაზონი, რათა ბაზარზე ოპერირება მოვახდინოთ კონკურენტული ფასებით. ასევე ხდებოდეს ფინანსური რესურსების აკუმულირება საჭირო მარაგების და მასალების დროული მობილიზების მხრივ, საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფის მხრივ და ა.შ.

- რისკის ალბათობა რა თქმა უნდა დასაშვებია გარკვეული დოზით, თუმცა იმის თქმა რომ ყველა რისკ-ფაქტორი შეიძლება გაჩნდეს ბუნებაში ან/და აღმოჩნდეს არსებითად გადამწყვეტი, რა თქმა უნდა რთულია;
- ის გარემოებები, რომელშიც რისკი შეიძლება ყველაზე რელევანტური იყოს სუბიექტისათვის, შეიძლება იყოს გამოცხადებული ტენდერები, სადაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კომპანიის ბედს საფასო პოლიტიკა და შეთავაზებები, კომპანიის გამოცდილება, რეპუტაცია და ა.შ.

- რისკის შესაძლო ეფექტები შეიძლება გამოხატული იქნეს რა თქმა უნდა პროექტების შემცირებაში, ტენდერებში ნაკლებად გამარჯვების შემთხვევებით და აქედან გამომდინარე კომპანიის ბრუნვებისა და მისაღები შემოსავლების კლებაში, შედეგად იზრდება ხარჯების ტვირთი და მცირდება კომპანიის მოგება, რაც საბოლოო ჯამში კომპანიის ზრდასა და განვითარებას არ უწყობს ხელს.

შპს ალთიპი-ს დირექტორი

ჯენქ თოქგოზ

თარიღი 17.10.2025